საქართველოს პარლამენტის ბიუროს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტების განხილვის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ა/წლის 28 ნოემბრის სხდომაზე განიხილა წინა მოწვევის პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტების განხილვის მიზანშეწონილობის საკითხი, რომლებზედაც წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

I. კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია გაგრძელდეს განხილვის პროცედურები კანონპროექტებზე, რომლებზედაც წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი:

1. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ – (N07-3/104, 13.06.2013)

(საქართველოს პარლამენტის წევრის ეკა ბესელიას ინიციატივა; N07-3/104, 13.06.13)

(პროექტის თანახმად, ამნისტიის აქტით სასჯელისაგან გათავისუფლებული ან შეწყალების აქტით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებული პირი ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება ამნისტიის ან შეწყალების აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში).

2. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ I მოსმენა, 02.04.15.

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; N07-2/218, 23.05.2014)

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე

ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

(ცვლილებით, თავისუფლების შეზღუდვის ოფიცერს ექნება უფლებამოსილება, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას (კერძოდ, პერიოდულად ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის თაობაზე გონივრული ეჭვის არსებობისას) მოსთხოვოს თავისუფლებაშეზღუდულ პირს 5 სამუშაო დღეში გაიაროს სათანადო შემოწმება და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ნივთიერების გამოყენება ხდება ექიმის დანიშნულებით სამკურნალო მიზნებისათვის. გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტით ზუსტდება პრობაციის რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში ამ დარღვევის საპატიოდ ჩათვლასთან დაკავშირებული საკითხები).

3. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ II მოსმენა, 27.04.16.

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა N07-2/363, 02.07.2015)

(ცვლილებებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრება 28 წევრით (ნაცვლად პლენუმის მიერ რაოდენობის განსაზღვრისა). უქმდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, ასევე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების ინსტიტუტი. ახლებურად ყალიბდება სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეთა თანამდებობაზე გამწესების საკითხი, კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშვნის ნაცვლად მათ შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეები აირჩევენ. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები, ასევე იუსიტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. პროექტები აწესრიგებს მოსამართლეთა მივლინების საკითხებს, გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შემოღება, ასევე იუტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნა. განისაზღვრება ცალკეული პროცედურული საკითხებიც. ამასთანავე, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან ერთად ჩაერთვება დამოუკიდებელი ინსპექტორი. დამოუკიდებელი ინსპექტორი იწყებს მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას, აგრეთვე ახორციელებს დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებას და გამოკვლევას. მოსამართლის დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. გაწერილია დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლები, დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხი, ასევე გათვალისწინებულია აღნიშნულ პროცესში მოსამართლეთა დაცვის სამართლებრივი გარანტიები. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ახლებური რეგულირება (კონკრეტდება და განისაზღვრება ახალი საფუძვლები). კერძოდ, იგი განისაზღვრება ადმინისტრაციულ პროცესში მოცემული რეგულირების ანალოგიურად. ამასთან, სასამართლო ვალდებული იქნება საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება, რომელიც უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

მოსამართლეობის კანდიდატი ვალდებულია საქართველოს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიზნით განცხადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია).

4. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

(ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივა N07-3/499, 23.10.2015).

(პროექტით განისაზღვრა სასამართლოში სარჩელით მიმართვის ახალი ვადა იმ პირთათვის, რომლებიც დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევენ თავს, კერძოდ სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის ვადა შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში (ნაცვლად 3 თვისა) მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია).

5. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ , „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ , „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა N07-2/420, 10.12.2015)

(პროექტები ითვალისწინებს საქართველოში იმპორტირებული მარჯვენასაჭიანი და გადატანილსაჭიანი მსუბუქი ავტომობილებისა და ავტობუსების რეგისტრაციის დაუშვებლობას; სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში გათვალისწინებულია შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ სატრანსპორტო საშუალებაზე დასამაგრებელი სპეციალური სტიკერის გაცემა, რომელიც უფლებას ანიჭებს მსუბუქი ავტომობილის ან ავტობუსის მესაკუთრეს/მფლობელს მხოლოდ 72 საათის განმავლობაში გადააადგილოს სატრანსპორტო საშუალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ასევე ხდება მართვის მოწმობაზე 100 ქულიანი სისტემის შემოღება, აღნიშნული ქულები შემცირდება განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში. ემატება დანართი, რომელიც განსაზღვრავს მართვის მოწმობისთვის მინიჭებულ ქულათა შემცირების ცხრილს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სატრანსპორტო ხასიათის სამართალდარღვევებზე მითითებით. ცვლილებებით, ჩათვლის უფლებით დღგ-საგან გათავისუფლება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამის კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) მიწოდება ან/და იმპორტი. მოტოციკლისთვის (მოპედის ჩათვლით) აქციზით დასაბეგრი ოპერაციის აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხა განისაზღვრება მათი წლოვანებითა და ძრავის მოცულობით. მოტოციკლეტებსა და მოპედებს აგრეთვე ეხებათ ჩათვლის უფლების გარეშე აქციზისაგან გათავისუფლება. გარდა ამისა, ცვლილება ეხება გარკვეული წლოვანების ავტომობილებთან დაკავშირებით აქციზის გადასახადით დაბეგვრას).

6. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; N07-2/432, 18.12.2015)

(ცვლილებებით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის უფლებამოსილება ენიჭებათ იმ კრედიტორებსაც, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამავე კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ არგუმენტირებულად ასაბუთებენ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის აუცილებლობას. ასეთ შემთხვევაში მოვალეს უნდა მიეცეს გონივრული ვადა (მაგრამ არაუმეტეს 4 დღისა) თავისი პოზიციის წარმოსადგენად. მოვალეს უფლება ეძლევა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვოს როგორც გაკოტრება, ისე რეაბილიტაცია; გადახდისუუნარობის პროცესში ყველა კრედიტორს, რომელთა მოთხოვნები აღიარებული სასამართლოს მიერ, უფლება ექნება მოითხოვოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტი. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე იმ კრედიტორების მიმართვის შემთხვევაში, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ არგუმენტირებულად ასაბუთებენ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის აუცილებლობას, მოვალისთვის აღნიშნული კრედიტორების განცხადებისა და დოკუმენტაციის გაგზავნასთან ერთად *მას ეცნობება ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების თაობაზეც).*

7. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ I მოსმენა, 22.06.16.

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; N07-2/488, 19.05.2016)

(პროექტის შესაბამისად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამსახურის კონკრეტულ თანამშრომლებს უფლება აქვთ, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით გამოიყენონ ფიზიკური ძალა (ნაცვლად „ფიზიკური იძულებისა“), სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი. ამასთან, დაზუსტდა შესაბამისი გარემოებები და მითითებითი ნორმები ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის კონკრეტულ მუხლებთან).

8. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ II მოსმენა, 24.06.16.

(ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივა; N07-3/581, 31.05.2016)

(წარმოდგენილი კანონის პროექტის შესაბამისად დაკონკრეტდა დეფინიცია, რომელიც ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ხანდაზმულობა არ გამოიყენება კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიმართ, კერძოდ: მუხლების, რომლებიც ითვალისწინებს წამებას, წამების მუქარას და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას. ახლებურად განისაზღვრა ძალადობის მუხლი, ცემა განისაზღვრა ძალადობის ერთ-ერთ სახედ და შესაბამისად კოდექსიდან ამოღებულ იქნა მუხლი, რომელიც ცალკე ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ცემისათვის. დაზუსტდა პასუხისმგებლობა წამებისა (მაგალითად: დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალს დაემატა ისეთი გარემოებები, როგორიცაა - სამედიცინო მანიპულაციების, მედიკამენტების ან სპეციალური ინსტრუმენტების

(ხელსაწყოების) გამოყენებით, რომლებიც განკუთვნილია წამებისთვის; - ანგარებით; - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში აღიარების იძულების მიზნით ან მესამე პირის წინააღმდეგ ცრუ დასმენის მიზნით) და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის განმსაზღვრელ მუხლებში. დაკონკრეტდა წამების მუქარა, კერძოდ წამების პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, თუ ეს მუქარა არის რეალური და იმწუთიერი).

9. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

(ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივა N07-3/593, 16.06.2016)

(პროექტის თანახმად, დაზუსტდა პროცედურები, რომლის შესაბამისადაც დგინდება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის (მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გათვალისწინებით) მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის არჩევის/დანიშვნის თავისებურებები. გარდა ამისა, შესაბამის გარემოების არსებობისას, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 3 თვისა (ნაცვლად 1 თვისა) და არაუგვიანეს 10 დღისა გამწესდება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი).

10. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" – (N07-2/507, 24.06.2016)

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა N07-2/507, 24.06.2016)

(პროექტის შესაბამისად, ზუსტდება დისპოზიცია და იცვლება გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის, ტარების, დამზადების, გადაზიდვსი, გადაგზავნისა და გასაღებისათვის).

II. კომიტეტს მიზანშეუწონლად მიაჩნია გაგრძელდეს განხილვის პროცედურები კანონპროექტებზე, რომლებზედაც წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი:

1. „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" თაობაზე" I მოსმენა, 20.02.13.

(საქართველოს მთავრობის ინიციატივა; N07-2/21, 03.01.2013)

(პროექტით უქმდება დებულება, რომლის თანახმადაც სასაზღვრო პოლიციის უფროსი იმავდროულად არის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე).

2. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" I მოსმენა, 03.04.13.

(საქართველოს პარლამენტის წევრების ი. იმერლიშვილი, ი. ჯაჭვლიანი, თ. ჯაფარიძის ინიციატივა; N07-3/72, 21.03.2013)

(წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტით იცვლება საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული სამი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შუალედური არჩევნების

ჩატარების პერიოდულობა და შუალედური არჩევნების ჩატარების ვადად განისაზღვრება უახლოესი თებერვალი, ივნისი ან ოქტომბერი, თუ შესაბამისი თვის ბოლომდე 70 დღეზე მეტია დარჩენილი, ხოლო თუ დარჩენილია 70 დღეზე ნაკლები შესაბამისი მოვდენო თვე).

3. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" I მოსმენა, 25.07.13.

(საქართველოსპარლამენტის 49 წევრის ინიციატივა; N07-3/125, 11.07.2013).

(კანონპროექტები ითვალისწინებს 2014 წლის 1 თებერვლამდე იმ უძრავ ქონებასთან დაკავშრებული საქმეების აღსრულების შეჩერებას, რომლებზეც საკუთრება მოპოვებულია სესხის ან/და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე).

ეკა ბესელია

კომიტეტის თავმჯდომარე